



## ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ტუხაშვილის 2016 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 მოწვევის წევრი, ასევე:

- 2016 წლის 16 ნოემბრიდან ვარ საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრი - 2016 წლის 16 ნოემბრის „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულება - N1005 საფუძველზე.

- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი;

- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“- ს წევრი;

- 2016 წლის 16 ნოემბრამდე ვიყავი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი.

## **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებსა და კომისიების**

### **მუშაობაში მონაწილეობა:**

- საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს 24 სხდომა, აქედან დასწრება საკრებულოს 20 სხდომაზე;
- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ჩაატარა სულ 18 სხდომა, აქედან დასწრება კომისიის 14 სხდომაზე;
- საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ ჩაატარა 19 სხდომა, აქედან დასწრება კომისიის 15 სხდომაზე;

### **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ ფრაქციაში მონაწილეობის მიღება:**

„ქართული ოცნება - კონსერვატორების“ ფრაქციის საანგარიშო წლის პერიოდში ჩატარებული აქვს 10 სხდომა, აქედან, აღნიშნულ სხდომებზე განხილული იქნა სხვადასხვა სახის საკითხები.

### **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციაზე მომუშავე დროებითი ჯგუფის მუშაობა**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აღნიშნული დროებითი სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებს 2014 წლის 22 აგვისტოდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტის შესაბამისად და საანგარიშო წლის პერიოდში განხილული აქვს ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეების ან ორგანიზაციის სულ 96

განცხადება, რასთან დაკავშირებითაც სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებულა ადგილზე გასვლა და სრულყოფილად შესწავლა თითოეული განცხადების, რომელიც წარგენილი იქნა დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე (19 სხდომა) და დადებითი პასუხის შემთხვევაში მომზადდა განკარგულების პროექტი.

სამუშაო ჯგუფის ინიცირებით ხორციელდება საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული განკარგულების მიღება და 2016 წელს მიღებული იქნა ქალაქ რუსთავში ქუჩის, სკვერების, მოედნების სახელდებასთან, ნუმერაციასთან და მოქალაქის საკუთრებში არსებული ფართის გაყოფასთან ან გაერთიანებასთან დაკავშირებით **42 განკარგულება**.

2016 წლის 10 ნოემბრის N1002 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის საკითხებზე მომუშავე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 23 აგვისტოს N949 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“.

გასული პერიოდის განმავლობაში ვმონაწილეობდი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში, შეხვედრები გვექონდა მოქალაქეებთან ყოველდღიურად ინდივიდუალური და საუბნო შეხვედრები, მიმდინარეობდა მათი პრობლემების შესაძლებლობის ფარგლებში მოწესრიგება.

